№2631 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

**სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ღია გასაღების დირექტორიაში (ICAO PKD) რეგისტრაციასა და მონაწილეობასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე**

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს კონვენციის 22-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), საქართველოს სახელით, მიენიჭოს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ღია გასაღების დირექტორიაში (ICAO PKD) რეგისტრაციასა და მონაწილეობასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის ხელმოწერის უფლებამოსილება. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მობილიზება სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**